

# კრიმატის ცვლილებაში ანტარქტიდის ნაწიდი გაამწვანა, მაგრამ ეს ბადახი არ არის



ანტარქტიდის ნახევარკუნძულის ნაწიდი ფერს შეიცვლის და მწვანე გახდება, რადგან გლობალური ტემპერატურის მატებასთან ერთად, გაიზრდება აყვავებულ წყარმცენარეთა გავრცელების არეალი. ამის შესახებ ახალი კვლევა იუწყება.

შეიძლება ფიქრობთ, რომ ანტარქტიდაზე მცენარეული სიცოცხლე არ არსებობს, მაგრამ ამ კონტინენტზე გავრცელებულია რამდენიმე ტიპის წყარმცენარე, რომლებიც დასველებულ თოვდში იზრდებიან და ჰაერიდან ნახშირორჟანგს შთანქვავენ.

კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევრებმა და ბრიტანეთის ანტარქტიკური კვლევის პროგრამის მეცნიერებმა თანამგზავრული ფოტოები და მიწისპირა დაკვირვებათა მონაცემები გააერთიანეს, რათა შეეფასებინათ მწვანე წყარმცენარეების გავრცელება მსოფლიოს ყველაზე უსიცოცხლო კონტინენტზე.

ანტარქტიდის ნახევარკუნძულზე, თოვდში მათ მწვანე წყარმცენარეების 1600 ცადკეური ყვავილობა გამოავლინეს, საერთო ჯამში მათი ფართობი 1,9 კვადრატული კილომეტრი იყო.



*„მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვები გლობალურ მასშტაბთან შედარებით მცირეა, ანტარქტიდაზე, სადაც მცენარეული სიცოცხლე ასე მცირე ოდენობით არის, ბიომასის რაოდენობა ძლიერ მნიშვნელოვანია. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ანტარქტიდაზე მხოლოდ თოვრი და პინგვინებია. თუმცა, იქ ძალიან ბევრი მცენარეული სიცოცხლეა“, – ამბობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მცენარეთა მეცნიერებების დეპარტამენტის მკვლევარი მეთ დეივი.*

ჯგუფის გამოთვლების მიხედვით, ნახევარკუნძულზე წყარმცენარეები ამჟამად შთანთქავენ საშუალოდ მანქანით 875 000 მოგზაურობის ეკვივალენტ ნახშირორჟანგს.

მათ ასევე დაადგინეს, რომ წყარმცენარეთა ყვავილობის უმეტესობა პინგვინების კოლონიებიდან ხუთი კილომეტრის რადიუსში იყო, რადგან ფრინველის ექსკრემენტი მათთვის ბრწყინვალე სასუქია.

პოლარული რეგიონები პლანეტის დანარჩენ ნაწილებზე სწრაფად თბება და როგორც ჯგუფი პროგნოზირებს, ანტარქტიდის დაბლობ სანაპირო ზონებში მარე წყარმცენარეები საერთოდ აღარ იქნება, რადგან ბაფხურობით იქ თოვრი აღარ რჩება.

თუმცა, ამ დანაკარგს სავარაუდოდ დააკომპენსირებს წყარმცენარეთა ყვავილობა მაღარ ზონებში, რადგან ტემპერატურის მატებასთან ერთად, იქ თოვრი წყრიანდება.



*„ანტარქტიკის დაბლობი კუნძულები გათბობას განაგრძობს და გარკვეულ მომენტში, ბაფხულობით იქ თოვლის საფარი აღარ დარჩება. ამის საპირისპიროდ, ანტარქტიკის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში შეიმჩნევა წყარმცენარეთა მართდაც დიდი აყვავება და ჩვენ ვვარაუდობთ, ამას უფრო ფართო ხასიათი მიეცემა“, – ამბობს კვლევის ავტორი, კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარი ენდრიუ გრეი.*

გრემი AFP-ს განუცხადა, რომ მაღლობებზე თოვლის მწვანე აყვავება ზღვის დონის მატების გამო წყარმცენარეების დანაკარგის კომპენსირებაზე მეტია.

მიუხედავად იმისა, რომ მეტი წყარმცენარე უფრო მეტი ნახშირორჟანგის შთანქმედას ნიშნავს, მცენარეებს ექნებათ პატარა, მაგრამ საზიანო გავრენა ადბელობზე, ანუ დედამიწის ბედაპირიდან მზის სითბოს არეკვრის რაოდენობაზე.

თეთრი თოვლი მზის რადიაციის 80 პროცენტს ირეკდავს, მწვანე თოვლის შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 45 პროცენტია.

თუმცა, ჯგუფი აღნიშნავს, რომ შემცირებულ ადბელოს ანტარქტიკის

კრიმატზე რაიმე დიდი გავრენა არ უნდა ჰქონდეს.

*„ნახშირბადის შთანთქმა იქ მომავარში გაიზრდება, რადგან წყარმცენარეთა აცვალებისთვის საჭიროა უფრო სვერი თოვრი. ჩვენი ვარაუდით, იქ წყარმცენარეებისთვის უფრო ხერსაყრედი ჰაბიტატი შეიქმნება და საერთო ჯამში, გაიზრდება ნახშირბადის შთანთქმაც“, – აღნიშნავენ მკვლევრები.*

*მომზადებულია Agence France-Presse-ის მიხედვით.*

[1tv.ge](http://1tv.ge)